

ქიმია / ბიოქიმია

პროგრამის მიზანი

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა ქიმია / ბიოქიმიაში მოიცავს საგნის ფართო სპექტრს. იგი შეიცავს ანალიტიკურ, არაორგანულ, ორგანულ, ფიზიკურ და ბიოქიმიას. SDSU-ს საბაკალავრო პროგრამა შეისწავლის თითოეული სფეროს საფუძვლებს, ლაბორატორიულ კვლევასა და ქიმიის პრაქტიკულ გამოყენებაზე აქცენტით.

ქიმიის შესწავლას მივყავართ საინტერესო და მომგებიანი კარიერისკენ, იქნება ეს ახალი ფარმაცევტული პროდუქციის განვითარება, ენერჯის ალტერნატიული წყაროების მოძიება, ახალი პროცესებისა და პროდუქტების შექმნა, ნივთიერების აგებულების შესწავლა, ნატურალური პროდუქციის იდენტიფიცირება და დახასიათება, ეკოლოგიური პრობლემების შეფასება, თუ ცოცხალ უჯრედებში მიმდინარე პროცესების კვლევა.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის პროგრამა სერტიფიცირებულია ამერიკის ქიმიის საზოგადოების მიერ (ASC). ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მოდიფიცირებულია ბიოქიმიის განხრით.

სწავლების მეთოდოლოგია

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის სასწავლო გეგმა სტუდენტებს სთავაზობს საკმაოდ დიდ ლაბორატორიულ გამოცდილებას, ისინი ეუფლებიან თანამედროვე ლაბორატორიული მეთოდების ფართო სპექტრს, იყენებენ დახვეწილ ინსტრუმენტებს (NMR, HPLC, GC, MS და ა. შ.) და იძენენ გამოცდილებას პრობლემის ჯგუფურად გადაჭრის გზით. დასაქმების შესაძლებლობები

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის კურსდამთავრებულები დიდი მოთხოვნით სარგებლობენ ისეთი ბიოტექნოლოგიური, ნავთობ-ქიმიური, ფარმაცევტული და ელექტრული კომპანიების მხრიდან, როგორებიც არიან Pfizer, Novartis, Merck და Roche, ასევე სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდანაც. კურსდამთავრებულების დიდი რაოდენობა მიჰყვება აკადემიურ სფეროს და ასწავლის უნივერსიტეტებში, კოლეჯებსა და სკოლებში.